სამშაბათი, 10 ივლისი 1907 წ.

წელიწადი პირველი № 148

ისარი

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გაზეთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე შეტიტით ღირს 15 კაპ. უკანასკ.—10 კ.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება «ისარი»-ს რედაქციასა და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნამუადღევის 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: ელისაბედ. ქ. № 1.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოუხერხებელი. წერილებით-პასუხისთვის საჭიროა სათოსტო მარკები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11-დან ნამუადღევის 3 საათამდე.

თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція «ИСАРИ»

„ისრის"-ს ხელის მომწერთა საყურადღებოდ.

«ისარი»-ს კანტორა აცხადებს იმათ საყურადღებოდ, ვისაც ფული არ შემოუტანია, რომ გაზეთის გზავნა მოესპოთ, თუ დროზე არ შემოიტანენ ხვედრ ფულს. პირველ ივლისიდან გაზეთი მოესპოთ: ტფილისში—ვისაც 4 მანეთზე მეტი არ შემოუტანია, ტფილისს გარედ—ვისაც 4 მან. და 50 კ. მეტი.

პირველ ივლისიდან წლის დამლევამდე გაზეთი ღირს: ტფილისში—4 მან. ტფილისს გარედ—4 მ. 50 კ., საზღვარ-გარედ—6 მან.

ერთი თვით გაზეთი ღირს: ტფილისში 75 კაპ., ტფილისს გარედ—80 კაპ., საზღვარ-გარედ—1 მან. 50 კაპ.

გაზეთს გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ადრესის გამოცვლა ღირს: ტფილისიდან ტფილისს გარედ ერთი მანეთი, სხვა ადგილას—ორი აბაზი.

„ვუნი კულ ქრის"
რესტორანში
ყოველ-დღე უკრავს სიმებიანი ორკესტრი, საღამოს 6 საათიდან ღამის 12 საათამდე. ა. სანტროს ლოტბარობით. (20——193—3)

ვასილი წერეთელი დიდის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას დედის
მაიასა.
დასაფლავება 10 ივლისს, ჭიათურის ახლოს, სოფელ ცხრუკვეთში.

მ ქ ი მ ი
ე. ვ ა შ ა კ ი ძ ე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.-უ—82)

თვალის ექიმი
ზ. ვ. ცხვედაძე
დორპატის უნივერსიტეტის კლინიკაში ასისტენტად ნ მყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველდღე დილ. 9—1 ს. და საღ. 5—7. ვერა, ოლგას ქუჩა, № 31, სახლი სარაჯიშვილისა. (25—180—9)

მ ქ ი მ ი
ვ. ხ. ვუსხელიშვილი
მიიღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილით 9—11½. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

ყბილის ექიმი
ალ. სოლოღაშვილი
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12. სახლი მდივნისა. (36)

ქუთაისში
ექიმი მატიუხოვი.
მიიღებს შინაგან, სიფილისით, ვენერიულ ავადმყოფებს და ბავშვებს. ქიმიკო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი ნახველისა, შარდისა, გონოკოკისა და სხვ. დილით 11—2 საათზე, საღამოთი 6—8 საათზე. სამხედრო საავადმყოფო, შესავალ პატარა ჭიშკარიდან. (60—ფოს.—38)

სამკურნალო
სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის
ფასი რჩევისთვის 50 კაპ.
ვანის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად.
ტელეფონი № 481.
ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 საათამდე.
რუდენკო—შინ.ს ნეულ. კვირა 3—4 ს. 2—3 ს.
იანჩევსკი—ყურ. ყელ. და ცხვ. ყოველ დღე 2—3 ს.
ვნუკოვი—ქირურ. ყოველ დღე 2—3 ს.
ულამბერეროვი—ქალისა და ბავშვისა, ყოველ დღე, 1—2 ს.
გორალევიჩი. შინაგ. ყოველ დღე, 1—2 ს.
თეორბაე—კან. და ვენერ. ყოველ.ღე 1—3 ს.
ბოგოვსკი—შინ. შთაგონ. ყოველდღე 4—5 ს.
მონსე—ბავშვ. სამშ., ხუთშ., შაბ. 4—5 ს.
ექიმი ქალი ოსელიანი:—ქალ. ორშ., ოთხ., პარ. და კვირ. 11—12 ს.
პავლოცკი—ქირურგ. ყოველ დღე 12—1 ს.
ნევზოროვა—კბილისა, ყოველდღე 11—5 ს. კვირ. 11—2 ს.
გოროდეცკი—მასსაჟი, ყოველ-დღე 11—4 ს.
რიდელი—სიფილ., კან., ვენ., ყოველ. 4—5 საათ.
ბიკარსკი კლინიკური ანალიზი.
ბუდნოვსკი ნერ., სულ., გიპნოზი ყოველ დღე 4—5 ს.
კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძების და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—ნ.—10)

მ ქ ი მ ი
ა. ნ. დიასამიძე
ყანაბა და ვენერიული. დილით 9—10 ს. საღამოობით 6—8. ყორლანოვის ქუჩა № 14.

კბილის ექიმი
ნინო რცხილაძე
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, —7 საათზე. ვერა, ოლგას ქუჩა, № 25. (0—131)

ტფილისი, 10 ივლისი

გუშინ შესრულდა ერთი წელიწადი, რაც რუსეთის პირველი პარლამენტი გარდაიცვალა. ეს დღე—9 ივლისი—ისეთივე დამნიშვნელოვანი ისტორიული ლატა იქნება რუსეთის ისტორიაში, როგორც 1906 წლის 27 აპრილი—პირველ რუსულ პარლამენტის დაბადების დღე. 9 ივლისს რუსეთის თვითმპყრობელმა მმართველმა წრეებმა საბოლოოდ გასწყვიტეს კავშირი ახალ რუსეთთან და განმათავისუფლებელ მოძრაობასთან. ამ დღეს მათ საქვეყნოდ სთქვეს თავისი non possumus და ახალი კურსი აირჩიეს.

ყველას, ვისაც გულწრფელად სურდა აწინდელ კრიზისის მშვიდობიანად დასრულება, პირველ სათათბიროს ბოლო დღეებამდე ასულდგმულებდა იმედი, რომ ბოლოს და ბოლოს მმართველი წრეები გონს მოვლენ და დაუთმობენ სახალხო წარმომადგენლობასაო; რომ მთავრობა გადადგება და შესდგება ახალი მთავრობა სათათბიროს უმრავლესობისაგან და პასუხის-მგებელი პარლამენტის წინაშეო; რომ ამგვარად დამყარდება ნამდვილი პარლამენტარიზმი, რომელიც შესძლებს რუსეთის გამოყვანას პროგრესის ფართო გზაზეო. 9 ივლისმა განფანტა ეს ილლიუზიები მშვიდობიანობის მოყვარულთა და დაანახვა ყველას, რა ღრმა და გაუვალია ის ორმო, რომელიც ისტორიამ გათხარა ხალხსა და რუსეთის ბიუროკრატიის შორის.

რომ მმართველი წრეები დათმობას არ აპირებდნენ, ეს ცხადად დამტკიცდა ჯერ ისევ 13 მაისს მარად სახსოვარ სხდომაზე, როცა პრემიერ-მინისტრმა თავისი დეკლარაცია წაიკითხა. მაშინვე მკაფიოდ გამოსთქვა თვით-მპყრობელობამ, რომ არ შეიწყნარებს არც პარლამენტარიზმს, არც საზოგადოებრივ ელემენტებიდან მთავრობის შედგენას, არც რადიკალურ აგრარულ რეფორმას. გორემიკინმა ცივი წყალი გადაასხა რუსეთის ხალხთა პირველ წარმომადგენლებს, დაჭგმო და სასაცილოდ აიგდო მათი ილლიუზიები; მაგრამ ასეთი ყოფილა ადამიანის ბუნება, 13 მაისი მალე დავიწყებას მისცა ყველამ და კვლავ გაიღვიძეს იმედმა და ილლიუზიებმა. საჭირო შეიქნა 9 ივლისი, რომ საბოლოოდ გამქრალიყო ყოველი რწმენა. პირველ სათათბიროს უმიზეზოდ გარეკით რუსეთის ბიუროკრატია რუბიკონს გადვიდა და ფორმალური ომი გამოუცხადა ქვეყნის მომავალს, რომელთანაც არავითარ შერიგება არ მოისურვა. ამიერიდან ისტორიამ ზედ შობლზე წააწერა რუსეთის თვითმპყრობელ ბიუროკრატიას დანტეს ცნობილი გაფრთხილება—დასტოვე ყოველი იმედი, ვინც აქ მოსულხარო...

მას შემდეგ „ახალი კურსი" თან და თან ირკვეოდა, ბიროკრატიამ სოროებიდან გამოიყვანა შავბნელი ძალები, დარაზმა, გააძლიერა თავის დახმარებით და ბრძოლის ველზე წაასხა. რეაქციამ ფრთები შეისხა და აი დღეს ვხედავთ, რომ მმართველ წრეების მადა წარსულ წლის 13 მაისის შემდეგ უფრო გაძლიერდა: დღეს ისინი არ კმაყოფილდებიან პარლამენტარიზმის უარყოფით, არამედ აღარ მოსწონთ „თვითმპყრობელი კონსტიტუციაც"—ეს საუცხოვო ქმნილება რუსეთის ბიუროკრატიისა, და სავსებით მის გაუქმებას თხოულობენ. 3 ივნისის საარჩევნო კანონი ლოდიკური გაგრძელებაა 9 ივლისისა, ხოლო დასკვნაც აღბათ მალე მოჰყვება. აკი უბრძანებია ახალს ოფიციოზს „რუსსკ. ზნ."-ს: თუ მესამე სათათბიროც ურჩი გამოდგა, თვითმპყრობელი ხელმწიფე სრულებით გააუქმებს კონსტიტუციასაო!..

ეს იქნება ღირსეული და კანონიერი დასკვნა თვითმპყრობელობის ხანგრძლივის ბატონობისა და ამასთანავე დასაწყისი იმ რადიკალურ ლიკვიდაციისა, ურომლისოდ რუსეთი თავს ვერ დააღწევს დღევანდელ კრიზისს.

ახალი ამბავი

✦ ფულის გატაცება. დაბა ხარაგაულიდან გვწერენ: შაბათს, 7 ივლისს, სად. მარელისში, როდესაც რკინის გზის მოსამსახურეებს ჯამაგირს ურიგებდნენ, რკინის გზის მეარტელეს თავს დაესხა ოცი ყუმბარებით და თოფებით შეიარაღებული უცნობნი. მოჰკლეს მეარტელეს დარაჯი სიტნიკოვი, დასჭრეს ორი; დაიჭრა აგრეთვე მემანქანის თანაშემწე უთხმერაძე. თავდამსხმელთ წაუღიათ 12,000 მანეთი, ხუთი რევოლვერი და თოფი, ამასთან დაუტოვებიათ ორი ყუმბარა. შემდეგ თავისუფლად მიმალულან. ყვირილიდან დაიბარეს ჯარი.

✦ კახეთის რკინის გზა. ნამესტნიკის განკარგულებით, შესდგა კომისია, რომელმაც უნდა გამოიკვლიოს კახეთში რკინის გასაყვანად ორი მიმართულება—გარეთ-კახეთისა და თიანეთისა.

✦ ჯილდო ხუთასი თუმანი. კვირას „კავ."-ში დაბეჭდილია ტფ. გენ.-გუბერნატორის განცხადება, რომლითაც ხუთას თუმანს ჰპირდება იმათ, ვინც გენ. ალიხანოვის მკვლელს შეიპყრობს.

✦ საბალოსნო სკოლის დათხოვნილი მუშები. გუშინ, 9 ივლისს, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაში მივიდნენ ტფ. საბალოსნო სასწავლებლის იმ მუშების წარმომადგენელნი, რომელთაც ამას წინად მოთხოვნილებანი წარუდგინეს საზოგადოებას- როგორც ვწერდით, 10 მუშიდან უნდა დაითხოვონ იქვსი. ამ უკანასკნელთ სამეურნეო საზოგადოებას მოსთხოვეს 3 თვის ჯამაგირი. საზოგადოების საბჭო შეპირდა მხოლოდ ერთი თვისოდენა საჩუქარს. მუშები ამას არ დასთანხმდნენ და ახლა თავიანთ წარმომადგენლების პირით მათ მოითხოვეს 6 თვის ჯამაგირი. წარმომადგენლებმა მოილაპარაკეს საზოგადოების მდივანთან, რომელმაც უთხრა მუშებს, შეგიძლიანთ ისარგებლოთ ბინით უფასოდ და ერთი თვის ფული მიიღოთ და თუ ვინიცობაა სექტემბერში განახლდა სწავლა, შესაძლებელია უკანვე დაბრუნდეთო. წარმომადგენელნი წავიდნენ ამხანაგებთან მოსალაპარაკებლად.

✦ დადგენილება მიწის გამწესრიგებელ კომისიისა. კვირას, 8 ივლისს, ნაძალადევში მიწის გამწესრიგებელმა კომისიამ წარუდგინა ქალაქის სამმართველოს შემდეგი მოთხოვნები: „1. მოედანი, რომელიც არსებობს ავჭალის ქუჩასა და ბალის შუა, დატოვებულ იქმნას სახალხო უნივერსიტეტისათვის. არავის ნება აღარ მიეცეს ზედ რაიმე სავაჭრო ბუტკის გამართვისა, ამასთან უსათუოდ დათხოვნილ იყვნენ ისინიც, ვისთვისაც დღემდის მიუციათ ნება მაგიდების დადგმისა, ხოლო იმათ კარგად მოზრდილი ბუტკა გაუმართავთ; 2. უყურადღებოდ იქმნას დატოვებული საერთო თხოვნა პარკოვსკი ქუჩიდან მოედნის დატოვების შესახებ, რადგან, კომისიის გამოკვლევით, ეს თხოვნა ორიოდე დაინტერესებულ კაცის მიერ არის შედგენილი, რომელთაც სხვა ამხანაგებიც შეცდომაში შეუყვანიათ; 3. მოეთხოვოს პასუხი ქალაქის მიწის მზომავს (ზემლემერს): მან რა უფლების ძალით, კომისიის დაუკითხავად, ხუთი დანომრილი მიწის ნაჭერი ოთხად გადააკეთა და ამის წყალობით მეხუთე ნაჭრის პატრონი ქვრივი ბლიამისა უადგილოდ დასტოვა".

✦ ანგარიშის მოთხოვნა. ტფ. ქალაქის საბჭომ ამას წინად 3000 მანეთი გადასდო ნაძალადევისა და ავლაბრის იაფ სასადილოების დასახმარებლად. დღემდე ამ ფულიდან სასადილოებს მისცემიათ სულ 500 მან. ქალაქის გამგეობამ დაადგინა, ანგარიში მოსთხოვოს აღნიშნულ სასადილოების გამგეთ და შემდეგ განაგრძოს ნაწილ ნაწილ ფულის ძლევა.

✦ ტფ. გენ. გუბერნატორის განკარგულებანი. იგზავნებიან ვიატკის გუბერნიაში სამხედრო წესების მოხსნამდე: დუშეთის ციხეში დაპატიმრებულნი სანდრო ლოლიაშვილი, ლექსო და შაქრო ვერძეულები, შაქრო და სოსო მოსიაშვილები და დათიკო დიდებაშვილი, რომელთაც აბრალებენ მუქარიან წერილებით ფულის დატყუებას. აეკრძალათ ტფ. გუბერნიაში ცხოვრება: ს. მაკარენკოს, დარია მედიაშვილს, დათიკო გელაშვილს, ბ. ლევიცკის და პეტრე გომუშაძეს.

✦ დაჭრა. 7 ივლისს, საღამოს 7 საათზე, ოქრომჭედლების ქუჩაზე ვიღაც შეიარაღებულებმა ესროლეს რევოლვერი ტფილისის მოქალაქეს სტეფანე ბეგიჯანოვს. დაჭრილი მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

✦ დილიჟანების გაცარცვა. კახეთში 1 ივლისს გაუცარცვავთ ყვარელიდან თელავში მიმავალი სამი დილიჟანი.

✦ ბაქოს ქილაქის თავი. ბაქოს ქალაქის თავად საბჭოს აურჩევია რუსეთში საერობო გამგეობის თავმჯდომარედ ნამყოფი რაევსკი. ჯამაგირად დაუნიშნეს წელიწაში 20,000 მანეთი.

✦ გვთხოვენ დავბეჭდოთ: „ეფრემ ვასილის ძე ლომმაძე ლეჩხუმის მაზრის, სოფელს ჟოშხაში მცხოვრები, აუწყებს ყველას, რომ საღაც გადაიმალა იმის თოთხმეტი წლის ძმა ნესტორი. ტანმორჩილი და ლამაზი პირი სახეაქვს. ლომთაძე გვთხოვს ყველას, ვინც იცის ბინა დაკარგულისა, აცნობოს ამ ადრესით: ტფილისი, საზღვარ-გარეთის ტელეგრაფი, მიხეილის ქუჩა, სახლი ფრანკესი. ნომერი 28 ივნისამდის მსახურებდა ბუფეტ „ნივაში."

✦ 8 ივლისს საღამოთი მახათის ქუჩაზე მიმავალ სამსახურს გარეშე მყოფ პოლკოვნიკს ს. ჯაფარიძეს თავს დაეცა ორი შეიარაღებული კაცი. უცნობებმა გაიტაცეს ფულად 186 მან. 71 კაპ. და მიიმალნენ. ს. ჯაფარიძეს, რომელიც სათავად-აზნაურო ბანკში მსახურებს, ეს ფული სათავად-აზნაურო სახლის მდგმურებისაგან მოუკრეფია.

✦ ქიზიყიდან გვწერენ: 5 ივლისს ღამე გასძარცვეს ს. ტიბაანის ხირსის მონასტრის ბერმონოზანი ეფრემი. წაიღეს ფულად ას ცამეტი მანეთი და ვერცხლეულობა. მძარცველნი არ აღმოუჩენიათ. წინა ღამეს ს. ჯუგაანში გასძარცვეს ჯანდიერ დოლაშვილი. წაიღეს ვერცხლის ქამარ-ხანჯალი.

✦ პოლიციის მე-6 ნაწილში მედუქნეებს თათოს მარქოსოვს და მნაცაკანოვს ანგარიშების დროს ჩხუბი მოსვლიათ. მარქოსოვს დიდი დანა ჩაუკრავს მუცელში მნაცაკანოვისათვის და მძიმედ დაუჭრია. დაჭრილი საავადმყოფოში გაჰგზავნეს, მარქოსოვი დააპატიმრეს.

✦ 7 ივლისს, წყალში დარჩობისაგან გადამრჩენელ საზოგადოების მცურავმა ოვაკიმ ვართანოვმა აცნობა პოლიციას, რომ 6 ივლისს გორგოჯანოვის ერთი თავ-დამცემელთაგანი, რომელსაც დასაჭერად გამოუდგა ხალხი, მტკვარში ჩავარდა ბორანთან და დაიხჩოო.

✦ იბეჭდება და მალე გამოვა გასაყიდად ივ. გომელაურის მიერ შედგენილი „სკოლებში შესასწავლი ქართველი მწერლები", წიგნი პირველი, მეორე გამოცემა, შევსებული და შესწორებულია.

ქუთაისის ქრონიკა

✦ გამართლა ჩვენი ეჭვი, რომ ქართულ გიმნაზიის შენობის ასაგებ ფულს, ბევრი ჭირისუფალი გაუჩნდება. რამდენად კანონიერი იყო ამ ფულიდან დეპუტატის საკრებულოს მოხელეთა დაკმაყოფილება, ჩვენ უკვე აღვნიშნეთ: ეხლა ამ ფულიდანვე დაუკმაყოფილებიათ ორი მაზრის წინამძღოლი საკანცელარიო ხარჯის დასაფარავადა და, ეჭვი არ არის, რომ დანარჩენ მაზრების წინამძღოლნიც მოითხოვენ ფულს. თუ ასე წავიდა საქმე, ფული მალე დაიხარჯება.

✦ სახემწიფო სათათბიროს დეპუტატთა ამრჩევლები გულ-გრილად ეკიდებიან საქმეს. ჩვენ მიერ შეკრებილ ცნობით, ჯერ არც ერთი განცხადება არ მისვლია ქალაქის გამგეობას ბინების დამქირავებელთაგან.

შავი ქვის მრეწველთა უკანასკნელი კრება.

უკანასკნელ კრებაზე გადასწყდა საკითხი ფულის სესხების შესახებ. კრებამ საჭიროდ სცნო 154 ათასი მანეთის სესხება საკრედიტო ან სხვა დაწესებულებიდან იმ პირობით, რომ სარგებელი არ აღემატებოდეს იმ %, რომელსაც ახდევინებენ მოკლე ვადიანი საკრედიტო დაწესებულებანი. გარდა ამისა სესხის აღება უნდა მოხდეს ნაწილ ნაწილად.

გ. ზდანოვიჩის მიერ წაკითხული „ნაკაზი" საბჭოსა და მოსამსახურეთა სახელმძღვანელოდ მიღებულ იქნა მომავალ კრებამდის, როდესაც იგი დაწვრილებით იქნება განხილული და დამტკიცებული. „ნაკაზი" კრების მოწვევამდე ქართულად უნდა გადაითარგმნოს და გაეგზავნოს მრეწველთ გასაცნობად.

თავმჯდომარე კრების დახურვას აპირობდა, რომ სიტყვა ითხოვა თ-მა ივ. ნიჟარაძემ, რომელმაც დაახლოვებით განაცხადა შემდეგი: ერთ-ერთ კრებაზე ზდანოვიჩი შეეხო ჩემს პიროვნებას, მე შეურაცყოფილად ვიცანი თავი და სამაგიერო შეურაცმყოფელ სიტყვებით გავეცი პასუხი. შემდეგ დავუფიქრდი ჩემს ნათქვამს და დავრწმუნდი, რომ ჩემგან წარმოთქმული სიტყვები არ შეეფერებოდა ზდანოვიჩს. ეს გარემოება სხვებმაც დაადასტურეს. ეხლა ვსარგებლობ მემთხვევით და ზდანოვიჩს წინაშე ბოდიშს ვიხდი.

შემდეგ ამისა ბ-მა ვარ. ჭილაძემ კიტა აბაშიძის სახელით განაცხადა, რომ უკანასკნელი თანხმაა დარჩეს საბჭოში იმ პირობით, თუ ზდანოვიჩი არ დაანებებს სამსახურს თავს.

გ. ზდანოვიჩი. ჩემის აზრით, საჭიროა ამ ორ თვეში მოვიწვიოთ საგანგებო კრება საბჭოს თავმჯდომარისა და იმის მოადგილის ასარჩევად. პირველად მე მინდოდა სამსახურიდან ეხლავე გადავმდგარიყავი, მაგრამ მერე მივიღე მხედველობაში ის გარემოება, რომ საქმეს ეს ვნებას მოუტანს და გადავწყვიტე დარჩენა საგანგებო კრებამდე, როდესაც შესაძლებელი გახდება ჩემ მაგიერ სხვა კაცის არჩევა. ამასთან ვაცხადებ, რომ თუ მთავრობამ ამა თუ იმ მიზეზით ნება არ დაგვრთო კრების მოწვევისა, მაშინ იძულებული ვიქნები სამსახურს თავი დავანებო. ამავე დროს ეხლავე შევუდგებით საბჭოს ჭიათურაში გადატანას.

ბარ. მოსეშვილის აზრით შეუძლებელია ენკენისთვეში კრების მოწვევა მან სთხოვა ზდანოვიჩს მარტამდე დარჩეს და მაშინ ჩვეულებრივი კრება მოაწესრიგებს საქმესაო. გარდა ამისა, სთქვა მოსეშვილმა, თქვენა ბძანეთ,—რომ თუ კრების მოწვევის ნება არ მოგვცეს, მაშინ სამსახურს თავს დავანებებო. მაშინ ხომ უპატრონოდ დარჩა ჩვენი საქმეები. ჩემის აზრით, საბჭო რომ მარტამდის ჭიათურაში არ გადავიტანოთ, არაფერი წახდება და თუ ეს არ მოხერხდა, მაშინ თავმჯდომარემ უნდა შეიწყნაროს ჩვენი თხოვნა და მარტამდის დარჩეს, მით უმეტესად, მას შეუძლია ქუთაისში იცხოვროს და დრო-გამოშვებით იაროს ჭიათურაში.

წინადაც მითქვამს და ეხლაც ვაცხადებ, რომ ჭიათურაში ჩვენი გადასვლა მეტია.

თ-დი ივ. ნიჟარაძე. თუ ზდანოვიჩმა და აბაშიძემ საბჭო დასტოვეს, უსაღსროდ დავრჩებით და მე, როგორც საბჭოს წევრი, ჩემდა თავად არავითარ პასუხის გებას არა ვიკისრულობ საქმეში.

ვ. ზდანოვიჩი. არა მგონია მთავრობამ კრების მოწვევის ნება არ დაგვრთოს, რაც შეეხება იმას, ვითომ კრებაზე არავინ გამოცხადდება, შემცდარი აზრია, რადგან კრება დიდხანს არ გასტანს. საბჭოს გადაუტანლობა ჭიათურაში შეუძლებელი საქმეა. კრებას უფლება ჰქონდა საბჭო ჭიათურაში გადაეტანა, მაგრამ მას ნება არა აქვს ჩემ კერძო საქმეში გაერიოს. მე სასარგებლოდ ვერა ვცნობ კრების გადაწყვეტილობას საქმისათვის და ამის გამო დარჩენა არ შემიძლიან.

შემდეგ ამისა კრების სხვა წევრებმაც განაცხადეს, რამდენად მავნებელი იქნება საქმისათვის ბ-ნ ზდანოვიჩის გადადგომა და, დასასრულ, საქმე იმავე მდგომარეობაში დარჩა, როგორშიაც დასაწყისში იყო.

ო-დ ივ. ნიჟარაძემ თავმჯდომარეს კრების ეხრივ მადლობა გამოუცხადა, რის შემდეგაც კრება დაიხურა.

სახალხო უნივერსიტეტი

8 ივლისს ახალგაზდა მეცნიერმა, ქიმიკოსმა ა. ჯავახიშვილმა, ქართულ ენაზე პირველად წაიკითხა საბუნების-მეტყველო ლექცია და თითოეული თავისი ნათქვამი იქვე გამოსცადა სხვა და სხვა საქიმიო იარაღის შემწეობით.

ლექტორმა წაიკითხა ზეპირად, ცოცხალი ენით. მოკლე წინასიტყვაობაში ლექტორმა სიხარული გამოსთქვა, რომ მას წილად ჰხვდა ისაუბრის სახალხო უნივერსიტეტში ქართულად მეცნიერების ისეთ დარგზე, რომლის ასე თუ ისე გავითარება მაჩვენებელია ამა თუ იმ ერის კულტურულად დაწინაურებისა. ეს დარგი მეცნიერებისა ჩვენის მრავალ ტანჯულ სამშობლოსთვის დღემდე, უცნობი ხილი იყო.

სალაპარაკო საგანი იყო: ნივთიერება—ნივთიერების ძირითადი თვისებანი, ზერეული ცვლილებანი ნივთიერებისა, ღრმა ცვლილებანი, შეერთება და დაშლა, მარტივი და რთული სხეულები, ელემენტები.

ნივთიერების შესწავლა სწორედ რომ ქვა-კუთხედია, საძირკველი ყოველ-გვარ მეცნიერებისა, რადგან ქვეყანაზე ყველაფერი, თვით დედა-მიწა და მცხოვრები, ცხოველები და მცენარეები შეადგენენ ნივთიერებას. ყველა რასაც წონა აქვს და უჭირავს რაიმე ადგილი, ნივთიერებაა. ნივთიერებას წონისა და ალაგის გარდა აქვს თვისებანიც. ნივთიერებათა ზოგიერთი თვისება, როგორც, მაგალითად, ადამიანის სულიერი მოვლენანი, სიხარული, ტანჯვა და სხვა, ლექტორის თქმით, ჯერ-ჯერობით მეცნიერებაში ნაკლებად არის გამოკვლეული. სამაგიეროდ დედა-მაწის კანის ისტორია კარგადაა შესწავლილი. დამტკიცებულია, რომ ყოველ ნივთიერებას წონისა და ალაგის გარდა აქვს ერთი თვისებაც, სახელდობრ ის, რომ „გი „ცვლება, ცვალებადია, ასე რომ ნივთიერების ესა თუ ისე „წყო მდგომარეობა შედეგია წინა მომენტის შეცვლისა. ნივთიერება უცვლელად არა რჩება. თვალიდაც ვხედავთ, რომ პატარა მარცვლისაგან იზრდება ხე, რამდენისამე ხნის შემდეგ ხმება, ლპება და იმის ალაგას სხვა ამოდის. ადამიანიც იბადება, იზრდება, ბერდება და კვდება. უსულო საგნებშიაც, სადაც სიცოცხლე სრულებით არა სჩანს, ხდება ცვლილება.

ნივთიერების ცვლილება ორ გვარია — ზერეული და ძირითადი ანუ ღრმა ცვლილება. ზერეული ცვლილება ლექტორმა რამდენისამე თვალსაჩინო მაგალითით დაამტკიცა. სხვათა შორის აიღო პლატინის ნაჭერი და ცეცხლზედ გაახურა. პლატინა გაწითლდა. როცა ცეცხლს მოაშორა, პლატინამ ვერცხლის ფერი მიიღო. ჩვენ თვალ წინ ამ ლითონის ცვლილება მოხდაო, სთქვა ლექტორმა, მაგრამ ამ ცვლილებით მას არც წონა მოჰკლებია, და არც ალაგი დაუკარგავსო. აი ეს არის ზერეული ცვლილებაო. ძირითად ანუ ღრმა ცვლილებაზე ლექტორმა დიდ ხანს ილაპარაკა და ნათქვამი ბევრის მაგალითით დაამტკიცა. სხვათა შორის აიღო ალეზარინი, რომლითაც მელანს აკეთებენ, და ცალ ცალკე გაურია სხვა და სხვა ხსნილი სულემისა, როდანის კალისა, შაბიამანი... ყოველ შერევ ზე ალეზარინმა სხვა და სხვა ფერი მიიღო.

საზოგადოებაში, განსაკუთრებით ქალებ შორის ძლიერ გავრცელებულია სხვა და სხვა სუნნელოვან ნელსაცხებლის ხმარება. ვეებერთელა მაღაზიებია, სადაც მხოლოდ სხვა და სხვა „დუხეებს“ და ოდეკალონებს ყიდიან ხოლმე. ზოგს აწერია ია, ზოგს ვარდი და სხვა. ნამდვილად კი ამ საცხებელაში არც ია ურევია და არც ვარდი. ეს არის მხოლოდ სხვა და სხვა ნივთიერების ქიმიური შეერთება. ნივთიერებათა ღრმა ცვლილების კანონით სარგებლობენ და სხვა და სხვა სუნნელოვან ნელ საცხებელს ამზადებენო. ლექტორმა აიღო ერბოს სიმჟავე, აურია ღვინის სპირტში და მშვენიერი სუნნელოვანი ნელ საცხებელი მოამზადა, ჭიქაში ჩაასხა და დამსწრე საზოგადოებას ჩამოუტარა, რომ ყველა დარწმუნებულიყო. სხვა და და სხვა სიმჟავისა და ეთერისაგან ლექტორმა ოთხნაირი ნელ საცხებელი მოამზადა ორიოდე წამის განმავლობაში. ამ ნაირად ნივთიერებაში ხდება ორ გვარი ცვლილება—ზერეული და ძირითადი. ზერეული დროებითია, ძირითად ცვლილების დროს კი ნივთიერება სრულებით იცვლება.

ნივთიერებათა ძირითადი ცვლილებით სავსეა როგორც ადამიანისა და ცხოველების, ისე უსულო საგნების ცხოვრება. ძირითადი ცვლილებას აქვს ორი სახე, სულ ერთია, რა გინდ რთული იყოს ნივთიერება და საცა გინდა იყოს იგი. ეს ორი სახეა—შეერთება ნივთიერებათა და დაშლა. ნივთიერებათა შეერთების და დაშლის ბევრი თვალსაჩინო და განსაცვიფრებელი მაგალითი უჩვენა ლექტორმა დამსწრე საზოგადოებას, ახსნა სხვა და სხვა სიმჟავისა და მინერალის თვისებანი, გაჰყო წყლი თავისს შემადგენელ ნაწილებად: წყალმბადად და მჟავმბადად. გადააქცია შაქარი ნახშირად გოგირდის სიმჟავის შერევით, უჩვენა კოლექცია, სადაც სხვა და სხვა შუშებში მოთავსებული იყო პროპორციულად ყველა ის ნივთიერება, რომლისაგან შედგება ადამიანის სხეური, როგორც წყალი, კრახმალი, რკინა და სხ. ბოლოს ლექტორმა სთქვა, რომ ქვეყნიერებაზე მოიძებნება 74 ნივთიერება, რომელიც მარტივია, ე. ი. იმათი დაშლა შემადგენელ ნაწილად არ შეიძლებაო. მაგალითად ოქროს, რკინას ან პლატინას რაც გინდა ქიმიური ანალიზი უყო, მაინც ოქროდ, რკინად და პლატინებად დარჩებაო. ამ ყველა ნივთიერებას ჰქვია სახელად ელემენტები. ეს ელემენტებიც შუშებში იყო მოთავსებული და იქვე ყველასაკვის დასანახად გამოფენილი.

ლექტორი ხანგრძლივის ტაშის ცემით დააჯილდოვეს. იმედია ახალგაზდა მეცნიერი შემდეგშიაც განაგრძოს ამ საინტერესო საგნებზე საუბარ, რაც თვითონაც აღუთქვა საზოგადოებას. ხალხი ბლომად დაესწრო.

რუსეთი

✦ **დატუსაღებულნი.** რუსეთის გაზეთების სიტყვით მიმდინარე წლის ივნისის განმავლობაში პეტერბურგში დაუტუსაღებიათ სულ ორ ათასამდე კაცი; მათ შორის 180 ქალია.

✦ **კრესტის სატუსაღო.** გაზ. „რუს.“-ის თანამშრომელს პეტერბურგის სატუსაღო კრესტის ერთმა პოლიტიკურმა ტუსაღმა უამბო შემდეგი: „ერთი წუთი მოსვენება არა გვაქვს: ძარღვები საბრალოდ აგვეშალა. არ ვიკით როგელ წუთში გაიმართება სროლა სატუსაღოში. ამ ერთი კვირის განმავლობაში ხუთჯერ ესროლეს ტუსაღებს, საბედნიეროდ — უშედეგოდ; დღეს დილით კი ორ ტუსაღს ესროლეს: რუტკოვსკი მოკლეს და ალფეროვი დასჭრეს. რუტკოვსკის ცარჩა დედა და სამი პაწია ბავშვი სრულიად უსახსროდ. ყოველ დღე მოდიან დატუსაღებულთა ნათესავნი იმის შესატყობად, ცოცხალნი არიან მათი მახლობელნი თუ არა. მისაღებ ოთახში ხშირად ისმის აღელვებული ქალების ქვიკინი, ვერ წარმოიდგენთ როგორ მუდმივ გამწარებასა და გაჭირვებაში ვიმყოფებით“.

ქალაქის მიწის მზომლის საქციელი

(წერილი რედაქციის მიმართ)

ტფ. ქალაქის თვით-მართველობაში მსახურებს მიწის მზომელი ძელიკ-ალლავერდოვი, რომელიც თურმე, როგორც გამოირკვა, ნაძალადევის ადგილების საერთო გეგმას—პლანს თავის სურვილისამებრ ხან აღმა უზავს თავს, და ხან დაღმა. ყველამ კარგად იცის (მანაც რასაკვირველია), რომ ნაძალადევში ამ ჟამად მოქმედებს მცხოვრებთა მიერ არჩეული კომისია, რომელსაც დაევალა სადაო მიწების სინდისიერად განაწილება, როცა კომისიამ რომელსამე თხოვნას ხელს მოაწერს, თვით მართველობაც კომისიის გადაწყვეტილებისამებრ, იმ პირა, ვისაც ეძლევა სასახლ-კარო ადგილი, აძლევს დაკანონებულ საბუთის ქაღალდებს. ხსენებულ მიწის მზომელს დიდი ხანია, რაც არ მოსწონდა ამგვარად საქმის დაყენება და ამხედრდა მის წინააღმდეგ. ნაძალადევის კანტორიდან გაატანინა მან მიწების საერთო პლანი (რაც არას დროს არ მომხდარა), მიატანინა მსახურს თავის განყოფილებაში და ხუთი წილი სახლ-კარის ადგილები პლანში ოთხად აქცია, რის ნებაც ამორჩეულების დაუკითხავად არა ჰქონდა. რა უფლება ჰქონდა, რომ ასე მოიქცა. ნუ თუ არ იცის, რომ ნაძალადეველებმა მოიპოვეს უფლება ადგილების განწესრიგების შესახებ და ქალაქის თვითმართველობამაც ნებაყოფლობით დაუთმო ეს უფლება?

ისტატე ლომიძე

დეპეშა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

9 ივლისი

რუსეთში.

კიევი. ეფრეიტორ პიმოროვს ჯარის უფროსმა სიკვდილით დასჯა უვადო კატორგად შეუცვალა, ხოლო უნტერ ოფიცერს ჩუიკოვს უვადო კატორგა და სადასთს ხოხოვიჩს 15 წლის გაძასწორებელი ბატალიონი—3 წლის გაძასწორებელ ბატალიონით.

ანანიევი. ეკატერინოვკის მამულში შეიარღებულმა ბორბოტ-მაქძელებმა მოჰკლეს გლეხი და იმისი ვაჟი, მძიძელ დასჭრეს გლეხის ცოდი და ტეში მიეიძალნენ. ტეს სტრაჟნიკებმა ადეა მეძორტეს.

პეტერბურგი. სამხედრო სამართლის წესდების მუ-1349, 1376, 1378, 1379, 1380, 1381, 1389, 1393 და 1399 მუხლები შემდეგნაირად შეიცვალა: კამოძიების მიდების შემდეგ სამხედრო ბრიკურორი მოვალეა ატნობოს სამხედრო უფროსს თავისი აზრი ოცდა-ოთხ საათის განმავლობაში, სამხედრო უფროსი ბრიკურორისაგან ტნობის მიღების შემდეგ მოვალეა იმავ დღესვე მისცეს საქმეს მსვლელობა და უკეთუ ბრიკურორი თანახმაა საქმეში მოხსენებულ პირის სამართალში მიცემისა, დუშოგხებლივ უნდა განაგრეულება მოახდინოს და ბრალდებული განსამართებლად დანიშნულ ადგილს მოაგვანინოს. სამხედრო ბრიკურორი, რომელ საქმეებს მიიღებს სამხედრო უფროსისაგან, იმავე დღეს ქარადგენს სამართალში სამრალდებლო ოქმს. ბოსამართლე მოვალეა კარჩიოს საქმე არა უგვიანეს მეორე დღისა სამრალდებლო ოქმის მიღებიდან. სამხედრო სამართლის წესდების მე-727 და 760 მუხლებში მოხსენებული დოკუმენტები უნდა ჩაანაცოლოს ბრალდებულს საქმის განხილვის დღეს. ბრალდებულის განცხადება მესამე დაძცველის არჩევის და დანიშვნისა, მოწმეების გამოხმობისა, მსჯელობის და ბრიკურორის დაწუნებისა უნდა მოხდეს დოკუმენტების წაკითხვისთანავე. სასამართლოს დადგენილება ამ განცხადების შესახებ უნდა მოხდეს იმავ სხდომაზე. სამოქალაქო მოსჩივანი სამრალდებლო ოქმის სასამართლოში მიდებას მეატეობიხებენ მხოლოდ მაძინ, თუ მოსჩივანი იმეოფება იქ, სადაც სასამართლოა. სამოქალაქო მოსჩივანის თხოვნა მოწმეთა რიცხვის შეკვლების შესახებ უნდა წარმოდგენილ იქმნეს უწყების მიღებისთანავე. დაწვრილებითი განაჩენი უნდა მოსმენადეს დუკოგხებლივ სასამართლოს სხდომის მემდეგ. განაჩენს ხელს აწერს მხოლოდ ერთი თავმჯდომარე, იმ მემთხვევაში, თუ თავმჯდომარე და წევრნი თანხმნი არიან განაჩენისა. საკასაციო სანიგრის გადასატანად ოცდა-ოთხი საათია დანიშნული. საკასაციო სანიგარი იმავე დღეს უნდა გაიგზავნოს, სადაც ჯერ არს.

კიევი. დიმოვეცკის მაზრის ტოდორეოვსკის ტეის კონტორას შვიდი შეიარღებული კაცი დაეცა. მოჰკლეს ხუთი კაცი და 716 მანეთი წაიღეს.

სამარა ბუზულუკის მაზრის სოფ. მოჩში დაიწვა 175 სახლი. დაიღუბა რამდენიმე ცხენი და ერთი 4 წლის ვაჟი. ზარალი 60,0000 მანეთამდეა.

არხანგელსკი. კასტარეგეს არხანგელსკის მაზრის ნენოკსის ფოსტის განეოფილება. წაიღეს 553 მანეთი

ანანიევი. სად. დიუბაშეკკაში მოჰკლეს ტელეგრაფის კონტორის უფროსად ნამეოფი ბალანსკი.

კამენეც პოდოლსკი. ვინიცკის მაზრის სოფელ უკუშინეცის გლეხები თავს დაეცნენ სტრაჟნიკებს, რომელნიც რუსანოვსკის ტეეში მიდიოდნენ გლეხებისა და მათის საქონლის გასარეკად. გლეხები ამ ტეეში საქონელს აძოვებდნენ. ერთი გლეხი მოჰკლეს, ოთხი დასჭრეს. სტრაჟნიკებს სტეპეს მოვიდა ისპრავნიკი და წესიერება აღადგინა

კრასნოიარსკი. 6 ივლისს ოცი შეიარღებული კაცი დაეცა ფოსტას, რომელიც სამხრეთ ენისეის ოლქის სამრეწველოებიდან მოდიოდა. მძიმედ დასჭრეს ორი სტრაჟნიკი. ფოსტალიონმა სროდა ასტეხა და ფოსტა გადარჩინა.

რიგა. სარეზინო მანუფაქტურის „ბროვოდნიკი“-ს კასირს 12 წლის განმავლობაში 104,000 მანეთი გაუფლანგავს. რაიცა მოულოდნელ ეხლა აღმოაჩინეს. კასირი დაპატიმრეს.

ეკატერინოდარი 7 ივლისს კავკაზის გზაზე, ნევინომისკის სადგურთან, ერთმანეთს დაეჯახა ორი საქონლის მატარებელი. მოკვდა ზეთის წამსმელი და ორი უბილეთო მგზავრი. მძიმედ დაშავდა კონდუქტორი და უბილეთო მგზავრი, მსუბუქად—დანარჩენი მოსამსახურენი.

ვარშავა. 7 ივლისს რეკოდვერით მოჰკლეს მუშა.

კისლოვოდსკი. მძიმედ დაჭრილი ბოქაული ვისოცკი მოკვდა.

ლოძი. ვისლიცკის ქარხანაში, სადაც დასჭრეს დირექტორი დიფშიცი, გამოკრულია განცხადება მუშებთან (400 კაცია) ანგარიშის გასწორების შესახებ.

ვარშავა. 7 ივლისს კალიშის სადგურთან სამმა კაცმა ყანდარმს სროდა აუტეხა. ყანდარმმა თავისს მხრივ 8 ჯერ ესროდა, შერე ხმადი იშიშვდა, ერთი ასწეხა, სხვები შეიბურო.

კიევი. 6 ივლისს კაფედნი ქარხნის ბატრონს კურგინას 6 შეიარღებული კაცი შეუვარდა. წაიღეს 130 მანეთი.

გროდნო. სოდომინის მაზრის სოფ. დუშნევის გლეხებმა მემამულეს ტეეში მოუშავეთ ქვა და კეტი დაუშინეს, სათიბიდანაც მუშები განდევნეს, ხე-ტეის მეიდეედს და იმის ცოდს სტეპეს, ოქმის შედგენას ხელი შეუშალეს, დამნაშავეთა დაპატიმრებას წინააღმდეგნენ, სტრაჟნიკებს ქვები ესროდეს. სტრაჟნიკებმა სროდა ასტეხეს და ორი კაცი დასჭრეს, ერთი—მძიმედ.

კამენეც პოდოლსკი. დაპატიმრეს ტეპლიკოვის ფოსტის კანტორის მძარცველები და ფოსტალიონისა და დარაჯის მკვლელნი. უფლანი გამოტედნენ. ფული ჯერ არ ადმოუჩენიათ.

უცხოეთში.

9 ივლისი.

სეული. 6 ივლისს სასახლის კარებთან 5000 კაცი შეიკრიბა. დამე თათბირი გამართეს. პირველმა მინისტრმა იმპერატორს წიხადადება მისცა, მეფობაზე ხელი აეღო. იმპერატორი დასთანხმდა. სტუდენტთა ერთმა ჯგუფმა მოინდომა იმპერატორისათვის პეტიცია მიეცა, მაგრამ ისინი პოლიციამ ადმოსავლეთის სასახლისკენ წასწია, სადაც მათ მეორე დამე გაატარეს. წარმოსოქვეს სიტყვები. იაპონიის პოლიციის უფროსმა ბრძანება გასცა, რომ სასახლის პოლიციისათვის თოფები დარიგებინათ. ხალხი თანდათან მატულობდა, თუმცა მშვიდობიანად იქცეოდა. გაზეთში (?) გამოცხადდა პირველი ცნობა ტახტზე ხელის ადების შესახებ მემკვიდრე პრინცის სასარგებლოდ. ხელი უწერია უმპერატორს და კარეშე საქმეთა მინისტრს. სადამოზე ქალაქის სხვა და სხვა ნაწილში ადელვებული ბრბო დადიოდა. არიგებდნენ პროკლამაციებს, სადაც იაპონელები ძლიერ გაკიცხულნი არიან.

ტოკიო. თუმცა აქ კორეის იმპერატორს პატივსა სცემენ, მაგრამ მისი ტახტზე ხელი ადებამ აქაურობას გულს შვება მოუვლინა. იმპერატორი ცნობილი იყო, რომ დიდი ინტრიგანი და დდეის იქით, რა თქმა უნდა, სრულიად უდონო იქმნება. ამბობენ, რომ იაპონია-კორეის ურთიერთობა ცოტა ირღვა. ძალიერ ეშინიან კორეის მინისტრების ვაჟკაცობას ტოკიოს დრო. იაპონიის მინისტრების უმეტესობა მედგრად თხოულობს, რომ კორეის იმპერატორი სუფლად გადასახლებულ იქმნას სადმე.

სეული (რეიტერი). კორეის ჯარის ერთმა ნაწილმა 6 ივლისს აჯანყება მოახდინა ქალაქის მთავარ ქუჩაზე რამდენჯერმე თოფები გასროდეს, მერე ჯგუფ-ჯგუფებად გაეფანტნენ, ქალაქის ბრბოს შეუერთდნენ, ისინიც ქვებითა და ჯოხებით შეიარღდნენ და გამფლეელ გამომფლეელ იაპონელებს დაერივნენ. იაპონელები თავიანთ უბანს შეეფარნენ. იაპონელთა რაზმი პოლიციას ეხმარება მეამბოხეთა ძებნაში. დაიბარეს იაპონელთა ჯარი. სადამოზე მშვიდობიანობა ჩამოვარდა. დადიან პატრულები. მოვიდა დიდი წვიმა, რამაც ბრბოს გაფანტვას ხელი შეუწყო. იაპონელების დუქნებს ყარაულები დაუყენეს. პოლიციის ტნობით, მოკლული და დაჭრილია 25 იაპონელი. კორეელების ზარალი ჯერ არ იცით. იაპონელების ოფიციალური ანგარიში არეულობის მიზეზად კორეელების ჯარს ასახელებს. ამბობენ, ჯარი ოფიცრებს არ ემორჩილებოდა. იმპერატორი ძალიერ შეაწუხა მომხდარმა ამბავმა და მარკიზ იტოს პოლიშის წერილი გაუგზავნა. იგი სწერს: ჩემმა უვიცმა ქვეშევრდომებმა ძალმომრეობა იხმარეს; საქმის გართულების მოსასპობლად, რაც გენებოთ, ის ზომები მიიღეთო. იტომ გენერალ კაზეგარს ჩაბარა ქალაქის დაცვის საქმე. ელჩებს საელჩოების დასაცველად ჯარი შეაძლიეს,

ტოკიო. როგორც სეულიდან იუწყებიან, თავმოყრილ აუარებელ ხალხს გადაუწყვეტ სახალი მინისტრ-პრეზიდენტისა, რომელიც ამ დროს იმპერატორის სასახლეში იყო.

სეული. 6 ივლისს ადისით შეამბოხენი შემოერტყნენ პირველ მინისტრის სახლს. მინისტრი იმპერატორის სასახლეში წავიდა. დანარჩენმა მინისტრებმა იაპონიის საელჩოს შეაფარეს თავი. ბრბო გაფანტეს არტილერიის შემწეობით იაპონელმა პოლიციელებმა. ჭეიქრობენ, რომ შეტაკება იაპონელ პოლიციელებსა და კორეელ სალდათებს შორის მოხდა. მარკიზ იტოს აცნობეს შეოქმულების შესახებ: ვითომ სიმპერატორ გვარდიას მიედოს ბრძანება იმპერატორისა—შეგარდით დამე სასახლეში და ყველა მინისტრები ამოხოცეთ, რადგან იმპერატორის გადადგომაში ისინი არიან ბასუხის-მგებელნი.

$4^1/_2$ საათზე მოხდა, მემკვიდრე პრინცის ტახტზე ასვლა. წინანდელი იმპერატორი გამოეთხოვა მინისტრებს. სასახლეს იცავს გენერალ ხაზეგავას ჯარი. 7 ივლისს დილით პინკიანგიდან მოვიდა ერთი პოლკი. მეორე პოლკი სეულშია.

სტამბოლი. სულთანმა გამოუცხადა იტალიის წარმომადგენლებს, რომ მან დაამტკიცა მინისტრთა საბჭოს მიერ შემუშავებული პროექტი რეფორმებისა.

სეული. ოფიციალურის ცნობით არეულობის დროს მოჰკლეს 10 იაპონელი და დასჭრეს 30. არ იცით, კორეელების მხრივ რამდენია მოკლულ დაჭრილი.

ხალხმა აიკლო მინისტრ-პრეზიდენტის სახლი, სამინისტროთა სადგომებს მოედო და ძარცვა-გლეჯას შეუდგა. სამხედრო სამინისტროს წინ იაპონელმა დარაჯებმა შეაუენეს. ბევრი თავდასხმელია მოკლულ-დაჭრილი.

სტამბოლი. მონასტრის სავილაიეტოს საზღვარზე ოსმალეთის ჯარს და ბოდგარების რაზმს შორის შეტაკება მოხდა. მოჰკლეს 73 ბოდგარელი და მათ შორის ცნობილი წინამძღოლი ავიევი და სამი სერბიელი. ჯარს 5 კაცი მოუკლეს და 11 დაუჭრეს.

ჰაგა. საზოგადო სხდომაზე წაიკითხეს კონფერენციის სახელზე მოსული სხვა და სხვა ადრესი. შემდეგ ერთხმად დაადგინეს, მიიღონ წინადადება, რომ ყენეგის კონფენცია სავალდებულო გახდეს საზღვაო ომის დროს. ბოდოს პრეზიდენტმა დელეგატებს გაახსენა ბირობა კამათის საიდუმლოდ შენახვის შესახებ და სთქვა, რომ ერთ დიდ სახელმწიფოს დელეგაციამ პროტესტი განაცხადა კონფერენციის დოკუმენტების საგსებით გამოქვეყნების შესახებაო.

თეირანი. მეჯლისმა დაამტკიცა კონტესია, რომლითაც სპარსეთში უნდა დაარსდეს გერმანელების ბანკი. ბანკს ძირითადი თანხა იქნება 200,000 გირვანქა სტერლინგი.

რედაქტორ-გამომცემელი

ე. ავალიშვილი.

წერილი ტომსკიდან.

უნივერსიტეტის საქმეები.

აქაური სტუდენტობა ბევრის ვაი-ვაგლახის შემდეგ დაემორჩილა 11 ივლისის კანონს.

უნივერსიტეტის და სატეხნოლოგო ინსტიტუტის სტუდენტთა ორგანოს წევრებად ᲧᲠ-ᲧᲠობით ითვლება 25 კაცი. ამათგან 11 სოც.-დემოკრატია, 10 სოც.-რევოლიუციონერი და 4 კადეტი სტ. ცენტრალურ ორგანოს წევრებს შორის კონფლიქტი ჩამოვარდა, რომლის შედეგიც ის იყო, რომ 7 ენკენისთვეს ორგანოს სოც.-დემოკრატმა და კადეტმა წევრებმა უნივერსიტეტსა და სატეხნოლოგო ინსტიტუტში გამოაკრეს განცხადება, რითაც სტუდენტობას ამცნეს შემდეგი: „რადგან 250 კაცი აღმოჩნდა მსურველი შეკრებისა, ამის გამო 10 ენკენისთვეს სტუდენტთა ცენტრალური ორგანო, 11 ივლისის კანონის თანახმად, იწვევს კრებას ინსტიტუტსა და უნივერსიტეტში ცალ-ცალკე. განხილული იქნება საკითხი იმის შესახებ, თუ როგორი ტაქტიკა უნდა შემუშავდეს 11 ივლისს კანონის შესახებ. 500 კაცის დასწრებით კრება კანონიერიაო“. იმავე ორგანოს სოც.-რევოლიუციონერთა ფრაქციის წარმომადგენლებმა ამნაირი საქციელი დანარჩენ წევრებისა დაჰგმეს და გამოაცხადეს: „ვიᲦებთ რა მხედველობაში იმას, რომ თუმცა ცენტრალურ ორგანოს იმავე ორგანოს წევრებმა, სოც.-რევოლიუციონურ ფრაქციის წარმომადგენლებმა, პროტესტი გამოვუცხადეთ: პირველი იმისთვის, რომ მან დაარღვია შარშანდელ საერთო კრების დირექტივები, რომელიც აკანონებდა საერთო ხასიათის საკითხის გარჩევისათვის უნივერსიტეტის და სატეხნოლოგო ინსტიტუტის სტუდენტების ერთად შეკრებას; მეორე იმისთვის, რომ ცენტრალური ორგანო სტუდენტთა ნება დაურთველად გაკადნიერდა და დაემორჩილა 11 ივლისის კანონებს და მით გათელა უფლება მთელის სტუდენტობისა, რომელთაც მხოლოდ აქვთ უფლება გადასწყვიტონ საკითხი ამა თუ იმ კანონების მიღებისა,—ვიღებთ რა მხედველობაში ყველა ამას, ჩვენ, ცენტრალურ ორგანოს ს.-რევოლიუციონერ ფრაქციის წევრნი პროტესტს ვუცხადებთ ორგანოს ს.-დემოკრატ და კადეტ წევრებს, და ვიწვევთ სტუდენტობას საერთო კრებაზე 10 ენკენისთვეს ერთ შენობაში—ინსტიტუტში“.

გასჭრა ს.-დემოკრატების და კადეტების პროპაგანდამ და ამ ორი წლის განმავლობაში პირველად სტუდენტობა 10 ენკენისთვეს შეიკრიბა თავ-თავის სასწავლებელში, რითაც გამოაშკარავდა სტუდენტობის მარᲬვნივ გადახრა.

გაიმართა კრებები. კრების დროს ინსტიტუტის სტუდენტებმა გამოგზავნეს წარმომადგენელნი; იწვევდნენ უნივერსიტეტელებს იმათთან ერთად შეკრებილიყვნენ. აქაც ს.-დემოკრატ „მენშევიკთა“ ფრაქციისა და კადეტების მეცადინეობამ გასჭრა: უნივერსანტები ადგილიდან არ დაძრულან. მხოლოდ ს.-რევოლიუციონერებმა „ბოლშევიკებმა“ დასტოვეს დარბაზი და შეუერთდნენ ტეხნოლოგების კრებას. უნივერსიტეტის 230 სტუდენტმა განაგრძო კრება და გადასწყვიტა, შეუდგეს სწავლას. ტეხნოლოგებმა თანასწორ უფლებით შეიერთეს უნივერსიტეტიდან მისულნი. ამით გათავდა პირველი დღის კრება.

